

**სსიპ - კოლეჯ „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა შერჩევისა და აპლიკანტთა ჩარიცხვის წესით შერჩევის დებულება (მე-3 და მე-4 დონე)**

**მუხლი 1. ზოგადი დებულებები**

1. წინამდებარე წესი შემუშავებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანების „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად და არეგულირებს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - კოლეჯ „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა ტესტირების ან/და გასაუბრების წესით შერჩევის პროცედურებს.

2. აღნიშნული წესის თანახმად, სსიპ - კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის“ (შემდგომში - კოლეჯი) მიერ ორგანიზებული ტესტირების ან/და გასაუბრების შედეგების საფუძველზე, განხორციელდება აპლიკანტთა ჩარიცხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.

3. კოლეჯის საბაზო/საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები და საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა შერჩევა ხორციელდება აღნიშნული წესის თანახმად.

**მუხლი 2. აპლიკანტთა შერჩევის ჩატარების ფორმატი და პირობები**

1. აპლიკანტთა შერჩევის ფორმატია - ტესტირება და მოტივაციური გასაუბრება, ან მხოლოდ მოტივაციური გასაუბრება, ან მხოლოდ ტესტირება, კერძოდ:

ა) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელზედაც არ არის ინტეგრირებული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, აპლიკანტთა შერჩევა ხორციელდება ორ ეტაპად:

➤ პირველი ეტაპი - კოლეჯის მოთხოვნით სსიპ - გამოცდების და შეფასების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტესტირება;

➤ მეორე ეტაპი - მოტივაციური გასაუბრება.

ბ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომლებშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, აპლიკანტთა შერჩევა ხორციელდება ორ ეტაპად:

➤ პირველი ეტაპი - კოლეჯის მოთხოვნით სსიპ - გამოცდების და შეფასების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტესტირება;

➤ მეორე ეტაპი - მოტივაციური გასაუბრება ტესტირების პროცესის გავლილ ყველა აპლიკანტთან;

გ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში, აპლიკანტთა შერჩევა ხორციელდება ერთ ეტაპად:

➤ მხოლოდ მოტივაციური გასაუბრება;

დ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, ინგლისურ, რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენებზე, აპლიკანტთა შერჩევა ხორციელდება ერთ ეტაპად:

➤ მხოლოდ მოტივაციური გასაუბრება.

ე) უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის მქონე უცხო ქვეყნის მოქალაქეების; საქართველოს მოქალაქეების, რომლებმაც ზოგადი განათლების საშუალო საფეხური დაასრულეს უცხო ქვეყნის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის ან ჩარიცხვის წინა წელს და რომელთა განათლება აღიარებულ იქნა კანონმდებლობით დადგენილი წესით; საქართველოს მოქალაქეების და „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 20<sup>13</sup> მუხლით გათვალისწინებულ პირებს, რომლებმაც ზოგადი განათლების საშუალო საფეხური დაასრულეს „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის ან ჩარიცხვის წინა წელს და რომელთა სრული ზოგადი განათლება აღიარებულ იქნა სამინისტროს მიერ დადგენილი წესით; თავშესაფრის მაძიებელ, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე აპლიკანტთა შერჩევა ხორციელდება ერთ ეტაპად:

➤ მხოლოდ მოტივაციური გასაუბრება (მოტივაციური გასაუბრებისას მიღებული შედეგი შეწონვას არ ექვემდებარება).

2. აპლიკანტთა შერჩევა გულისხმობს პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით აპლიკანტთა შეფასებას.

3. აპლიკანტთა შერჩევა ხორციელდება ქართულ ენაზე, გარდა ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4. ინგლისურ, რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენებით აპლიკანტთა შერჩევის შემდგომ, თუ მოხდება აპლიკანტის ჩარიცხვა, კოლეჯი ვალდებულია ამ გზით პროფესიული სტუდენტებისთვის პროგრამაზე სწავლება დაიწყოს ქართული ენის მოდულით. ქართული ენის მოდულის დაუძლეველობის შემთხვევაში, პირს უწყდება პროფესიული სტუდენტის სტატუსი. ქართული ენის მოდულის დაძლევის შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტი სარგებლობს გარდამავალი (მომლოდინე) პროფესიული სტუდენტის სტატუსით და უფლებამოსილია:

ა) სწავლა განაგრძოს იმავე პროგრამაზე, რომელზეც განხორციელდა მისი ჩარიცხვა. ამ შემთხვევაში, მას პროფესიული სტუდენტის სტატუსი გაუაქტიურდება პირადი განცხადების საფუძველზე, შემდგომი მიღების ფარგლებში ამ პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების მიერ სწავლის დაწყებისთანავე;

ა.ბ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, დაწესებულების მიერ განსაზღვრული წესის შესაბამისად ისარგებლოს შიდა მობილობით კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ა.გ) ისარგებლოს გარე მობილობით, მინისტრის მიერ დადგენილი წესით;

ა.დ) შეინარჩუნოს მის მიერ მოპოვებული სამართლებრივი მდგომარეობა.

5. აპლიკანტთა შერჩევის პროცედურა ტარდება კოლეჯში, მისამართზე: ქ. თბილისი, ფანჯიკიძის ქუჩა N3. ხოლო ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური ვითარებიდან გამომდინარე, მოტივაციური გასაუბრება შეიძლება განხორციელდეს დისტანციური მეთოდით.

6. საბაზო/საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა ტესტირების და მოტივაციური გასაუბრების თარიღი/თარიღები განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. კოლეჯი აღნიშნულ ინფორმაციას ასახავს სარეგისტრაციო სისტემაში და ასევე, განათავსებს მის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, შეფასების თარიღის დადგომამდე არაუგვიანეს 2 სამუშაო დღით ადრე.

7. საბაზო/საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე გამართულ აპლიკანტთა ტესტირების პროცესში აპლიკანტის გამოუცხადებლობა, თუ უკავშირდება მისი ახალი კორონა ვირუსით დაინფიცირებას, იგი ვალდებულია კოლეჯის ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზე

[info@itvet.ge](mailto:info@itvet.ge) გააგზავნოს წერილი მისი ინფიცირებასთან დაკავშირებით, წერილთან ერთად წარადგინოს ახალი კორონავირუსის დადასტურების დოკუმენტი.

8. ამ მუხლის მე-7 პუნქტის გათვალისწინებით, კოლეჯი შეისწავლის ყველა კონკრეტულ განაცხადს და კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, დადგინდებიან ის აპლიკანტები რომლებიც დაიშვებიან მოტივაციური გასაუბრების ეტაპზე.

### **მუხლი 3. ზღვრები**

1. სსიპ – კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის“ საბაზო და საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა ტესტირებით/მოტივაციური გასაუბრებით შერჩევისათვის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი განისაზღვროს **10 ქულით**.

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში, მინიმალური კომპეტენციის ზღვარი განისაზღვროს **ჯამური ქულის - 20%**.

### **მუხლი 4. შერჩევაში მონაწილეობის წინაპირობა**

კოლეჯის მიერ ორგანიზებულ შერჩევაში მონაწილეობის უფლება აქვს სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში რეგისტრირებულ აპლიკანტს, რომელიც ფლობს საქართველოში გაცემულ საბაზო/სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს ან მასთან გათანაბრებულ დოკუმენტს, აკმაყოფილებს პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე პროფესიის სტანდარტით/პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით დადგენილ დაშვების წინაპირობებს.

### **მუხლი 5. აპლიკანტთა შერჩევის კომისია**

1. კოლეჯის მიერ ორგანიზებულ ტესტირებას ახორციელებს შესარჩევი კომისია.
2. აპლიკანტთა მოტივაციურ გასაუბრებას ახორციელებს შესარჩევი კომისია.
3. შესარჩევი კომისიის შემადგენლობაში შედიან კოლეჯის და პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლები.
4. შესარჩევი კომისიას ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე.
5. კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება აღნიშნული კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი.
6. კომისიის თითოეული წევრი დამოუკიდებლად აფასებს აპლიკანტს.
7. შესარჩევი კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში, სხდომაზე დამსწრე წევრები ირჩევენ სხდომის თავმჯდომარეს, რომელსაც უფლებამოსილება უწყდება სხდომის დასრულებისთანავე.
8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში, შესარჩევი კომისია ამტკიცებს მოტივაციური გასაუბრების კითხვარებს.
9. კოლეჯის მიერ ორგანიზებულ საბაზო ზოგად უნარებში ტესტირებისას, შესარჩევი კომისია ამტკიცებს:

ა) საბაზო ზოგად უნარებში ტესტებს;

ბ) შეფასების უწყისის ფორმებს;

9.1 შესარჩევი კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება შესაბამისი კომისიის სხდომის ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ სხდომაზე დამსწრე წევრები.

10. კოლეჯი უზრუნველყოფს მოტივაციური გასაუბრებისას აპლიკანტისთვის, შესაბამისი ენის თარჯიმნით მომსახურების გაწევას, თუ მოტივაციური გასაუბრების ეტაპზე არის ინგლისურ ან რუსულ ან აზერბაიჯანულ ან სომხურ ენით შესარჩევი აპლიკანტი.

### **მუხლი 6. აპლიკანტთა შერჩევა**

1. აპლიკანტთა შერჩევა უნდა განხორციელდეს ობიექტურად, გამჭვირვალედ და ინკლუზიურობის პრინციპებზე დაყრდნობით.

2. მოტივაციური გასაუბრების ეტაპზე გადადის ტესტირების შედეგად საუკეთესო შედეგის მქონე აპლიკანტთა ის რაოდენობა, რომელიც გათვალისწინებულია კონკრეტულ პროგრამაზე მისაღებ სტუდენტთა რაოდენობისათვის (ასეთის შესაძლებლობის შემთხვევაში) და ამ რაოდენობას, ემატება პროგრამაზე მისაღებ სტუდენტთა რაოდენობის 20%, რომლებმაც აღნიშნულ აპლიკანტთა შემდგომ, საუკეთესო შედეგი აჩვენეს ტესტირებისას (ასეთის შესაძლებლობის შემთხვევაში). იმ შემთხვევაში თუ მოტივაციურ გასაუბრებაზე დაშვებულ აპლიკანტთა რაოდენობის ბოლო ადგილზე აღმოჩნდებიან თანაბარქულიანი აპლიკანტები, მოტივაციურ გასაუბრებაზე დაიშვებიან ყველა აღნიშნული აპლიკანტები.

3. კონკრეტული პროგრამის ფარგლებში თუ მისაღებ სტუდენტთა რაოდენობა არ გამოცხადდება მოტივაციური გასაუბრებაზე, შესარჩევი კომისია შემჭიდროვებულ ვადებში, მოტივაციურ გასაუბრებაზე მოიწვევს, ტესტირებისას შემდგომ საუკეთესო შედეგის მქონე აპლიკანტს/აპლიკანტებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

4. ამ მუხლის მე-4 პუნქტის პირობა გრძელდება მანამ სანამ არ მოხდება კონკრეტული პროგრამის ფარგლებში მისაღებ სტუდენტთა რაოდენობის შევსება (ასეთის შესაძლებლობის შემთხვევაში).

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში, აპლიკანტთა შეფასების საბოლოო შედეგს კოლეჯი უგზავნის სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას.

### **მუხლი 7. კოლეჯის მიერ ორგანიზებული აპლიკანტთა შერჩევის ფარგლებში წარმოშობილი პრეტენზიების განხილვის წესი**

1. სსიპ - შეფასების და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ ტესტირების ფარგლებში, წარმოშობილი ტესტირებასთან დაკავშირებული პრეტენზიები არ განიხილება.

2. შერჩევისას წარმოშობილი პრეტენზიების განხილვის მიზნით, კოლეჯის დირექტორი შერჩევის პროცედურის დაწყებამდე, ბრძანებით განსაზღვრავს სააპელაციო კომისიის შემადგენლობას.

3. სააპელაციო კომისიის შემადგენლობაში შედიან კოლეჯის და პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლები.

4. სააპელაციო კომისიას ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე.

5. შერჩევისას აპლიკანტს უფლება აქვს მიმართოს სააპელაციო კომისიას შერჩევისას წარმოშობილი პრეტენზიების ფარგლებში, შერჩევის თარიღიდან არაუმეტეს მეორე დღის სამუშაო საათების დასრულებამდე.

6. სააპელაციო კომისიის მიერ საპრეტენზიო განცხადება განხილული უნდა იქნას მისი წარდგენიდან 1 სამუშაო დღის ვადაში.

7. საპრეტენზიო განცხადებაში მკაფიოდ უნდა იყოს მითითებული პრეტენზიის შინაარსი. წინააღმდეგ შემთხვევაში განცხადება არ განიხილება სააპელაციო კომისიის მიერ.

8. სააპელაციო კომისიის შემადგენლობაში არ შეიძლება შედიოდეს შერჩევის კომისიის წევრი, რომელიც მონაწილეობას იღებდა აპლიკანტის ტესტირებისას ან/და გასაუბრებისას.

9. სააპელაციო კომისია გადაწყვეტილებას იღებს დამსწრე წევრების ხმათა უმრავლესობით. ხმათა თანაბრად გადანაწილების შემთხვევაში გადაწყვეტია სააპელაციო კომისიის თავმჯდომარის ხმა.

10. სააპელაციო კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში, სხდომაზე დამსწრე წევრები ირჩევენ სხდომის თავმჯდომარეს, რომელსაც უფლებამოსილება უწყდება სხდომის დასრულებისთანავე.

11. სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება შესაბამისი კომისიის სხდომის ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ სხდომაზე დამსწრე წევრები.

12. სააპელაციო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შედეგად გამოვლენილი ხარვეზები აისახება შესაბამისი კომისიის სხდომის ოქმში, რომელიც ეგზავნება აპლიკანტთა შესარჩევ კომისიას.

### **მუხლი 8. აპლიკანტთა შედეგების გამოცხადება და ჩარიცხვა**

1. კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრავს აპლიკანტთა პროგრამაზე ჩასარიცხად წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხას და მათი წარდგენის ვადებს.

2. სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მოწოდებული რეიტინგული სიის შესაბამისად, აპლიკანტების მიერ წერილობით გამოხატული ნების საფუძველზე და პროგრამაზე ჩასარიცხად სრულად წარდგენილი დოკუმენტაციის შემდეგ, კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე აპლიკანტს ანიჭებს სტუდენტის სტატუსს.

3. კოლეჯი უფლებამოსილია აპლიკანტს არ მოსთხოვოს განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ აღნიშნული განათლების შესაბამისი საფეხურის დაძლევა, აპლიკანტის რეგისტრაციის მომენტში, დადასტურებულია მართვის სისტემის მიერ.

### **მუხლი 9. დარჩენილი თავისუფალი ადგილების შევსება (არსებობის შემთხვევაში)**

1. პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის დასრულების შემდეგ, დარჩენილი თავისუფალი ადგილების შევსების მიზნით, მინისტრის მიერ დადგენილი ვადის ფარგლებში, კოლეჯის დირექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და ინფორმაციას ასახავს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

2. კოლეჯი უფლებამოსილია თავისუფალი ადგილების შევსების მიზნით, საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, ინტეგრირებულ პროგრამაზე მისაღები ადგილების ფარგლებში დარჩენილი თავისუფალი ადგილების რაოდენობა გამოიყენოს მეორე სასწავლო გეგმით განხორციელებულ პროგრამაზე აპლიკანტთა ჩარიცხვის მიზნით, ავტორიზაციის საბჭოს მიერ ამ პროგრამაზე შესაბამისი სასწავლო გეგმისათვის განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის ფარგლებში.

3. საბაზო/საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, თუ საბუთების მიღების დასრულების შემდგომ, ვერ მოხდება კონკრეტულ პროგრამაზე მისაღებ სტუდენტთა რაოდენობის შევსება, კოლეჯი უფლებამოსილია კოლეჯში ჩარიცხვასთან დაკავშირებით მიმართოს იმ აპლიკანტს, რომელმაც მოტივაციური გასაუბრებისას საუკეთესო შედეგი აჩვენა (ასეთის შესაძლებლობის შემთხვევაში).

4. თუ ამ მუხლის მე-3 პუნქტში გათვალისწინებული პროცესის შემდგომ, კვლავ ვერ მოხდება კონკრეტულ პროგრამაზე მისაღებ სტუდენტთა რაოდენობის შევსება და არის შესაბამისი დრო სწავლამდე მოხდეს აპლიკანტთა შერჩევა და ჩარიცხვა, ასევე არის ტესტირების შედეგებიდან გამომდინარე შემდგომი საუკეთესო შედეგის მქონე აპლიკანტი/აპლიკანტები, კოლეჯი აცნობებს შესაბამის შესარჩევ კომისიას.

## **მუხლი 10. პროგრამაზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა**

### **რეგისტრაცია და შერჩევა**

1. პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტს (შემდგომში სსსმ აპლიკანტი) შეუძლია დარეგისტრირდეს ვებ გვერდის - [www.vet.emis.ge](http://www.vet.emis.ge) საშუალებით.

2. რეგისტრაციისას, სსსმ აპლიკანტი კონსულტაციის გაწევის მიზნით, საჭიროების შემთხვევაში უკავშირდება კოლეჯის დირექტორის მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ ინფორმაციის გამცემ პირებს ან/და ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტებს.

3. პრაქტიკული მოსინჯვის თარიღს კოლეჯის დირექტორი განსაზღვრავს მინისტრის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის/აქტების ფარგლებში.

4. შერჩევა უნდა განხორციელდეს მოსინჯვის თარიღიდან არაუმეტეს 5 სამუშაო დღის ვადაში.

5. რეგისტრირებული სსსმ აპლიკანტების შერჩევა განხორციელდება აპლიკანტთა რეგისტრაციის დასრულების შემდეგ.

6. სსსმ აპლიკანტისთვის პრაქტიკული მოსინჯვის მიღების უფლება წარმოიშობა მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე.

7. სსსმ აპლიკანტის პრაქტიკული მოსინჯვის ეტაპზე გამოუცხადებლობა, თუ უკავშირდება მისი ახალი კორონა ვირუსით დაინფიცირებას, იგი ვალდებულია კოლეჯის ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზე [info@itvet.ge](mailto:info@itvet.ge) გააგზავნოს წერილი მისი ინფიცირებასთან დაკავშირებით, წერილთან ერთად წარადგინოს ახალი კორონავირუსის დადასტურების დოკუმენტი. აღნიშნულის გათვალისწინებით, შესარჩევი კომისია აპლიკანტთან მოახდენს ონლაინ კონსულტირებას.

## **მუხლი 11. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა შესარჩევი კომისია**

1. სსსმ აპლიკანტთა პრაქტიკული მოსინჯვის უზრუნველსაყოფად, კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ქმნის სსსმ აპლიკანტთა შესარჩევი კომისიას.

2. შესარჩევი კომისიის შემადგენლობაში შედიან კოლეჯის და პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლები.

3. შესარჩევი კომისიას ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე.

4. შესარჩევი კომისია სსსმ აპლიკანტთა შეფასებისას ხელმძღვანელობს სპეციალური ფორმის შესაბამისად.

5. შესარჩევი კომისია, მულტიდისციპლინური გუნდის მიერ წარმოდგენილი აპლიკანტის დასკვნის გაცნობის შემდეგ აფასებს აპლიკანტის პრაქტიკულ მოსინჯვას.

6. შესარჩევი კომისია, სსსმ აპლიკანტის პრაქტიკული მოსინჯვისას გაკეთებულ შეფასებებზე დაყრდნობით, გასცემს შესაბამის რეკომენდაციას.

## **მუხლი 12. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა შერჩევის ფარგლებში წარმოშობილი პრეტენზიების განხილვის წესი**

1. სსსმ აპლიკანტთა პრაქტიკული მოსინჯვისას წარმოშობილი პრეტენზიების განხილვის მიზნით, კოლეჯის დირექტორი პრაქტიკული მოსინჯვის პროცედურის დაწყებამდე, ბრძანებით განსაზღვრავს სააპელაციო კომისიის შემადგენლობას.

2. სააპელაციო კომისიის შემადგენლობაში შედიან კოლეჯის წარმომადგენლები.

3. სააპელაციო კომისიას ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე.

4. პრაქტიკული მოსინჯვისას აპლიკანტს/კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვს მიმართოს სააპელაციო კომისიას პრაქტიკული მოსინჯვისას წარმოშობილი პრეტენზიების ფარგლებში, პრაქტიკული მოსინჯვის თარიღიდან არაუმეტეს მეორე დღის სამუშაო საათების დასრულებამდე.

5. სააპელაციო კომისიის მიერ საპრეტენზიო განცხადება განხილული უნდა იქნას მისი წარდგენიდან 1 სამუშაო დღის ვადაში.

6. საპრეტენზიო განცხადებაში მკაფიოდ უნდა იყოს მითითებული პრეტენზიის შინაარსი. წინააღმდეგ შემთხვევაში განცხადება არ განიხილება სააპელაციო კომისიის მიერ.

7. სააპელაციო კომისიის შემადგენლობაში არ შეიძლება შედიოდეს შერჩევის კომისიის წევრი, რომელიც მონაწილეობას იღებდა აპლიკანტის პრაქტიკული მოსინჯვის პროცესში.

8. სააპელაციო კომისია გადაწყვეტილებას იღებს დამსწრე წევრების ხმათა უმრავლესობით. ხმათა თანაბრად გადანაწილების შემთხვევაში გადაწყვეტია სააპელაციო კომისიის თავმჯდომარის ხმა.

9. სააპელაციო კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში, სხდომაზე დამსწრე წევრები ირჩევენ სხდომის თავმჯდომარეს, რომელსაც უფლებამოსილება უწყდება სხდომის დასრულებისთანავე.

10. სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება შესაბამისი კომისიის სხდომის ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ სხდომაზე დამსწრე წევრები.

11. სააპელაციო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შედეგად გამოვლენილი ხარვეზები აისახება შესაბამისი კომისიის სხდომის ოქმში, რომელიც ეგზავნება აპლიკანტთა შესარჩევ კომისიას.

### **მუხლი 13. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა ჩარიცხვა**

1. თუ პროგრამაზე დარეგისტრირებული აპლიკანტების რაოდენობა აღემატება პროგრამაზე გამოყოფილი ადგილების რაოდენობას, სსსმ აპლიკანტების პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ რეკომენდაციის შემუშავებისას უპირატესობა მიენიჭება იმ სსსმ აპლიკანტს, რომელსაც მანამდე არ ჰქონია პროფესიული სტუდენტის სტატუსი.

2. კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტივით განსაზღვრავს პროგრამაზე ჩასარიცხად წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხას და მათი წარდგენის ვადებს.

3. სსსმ აპლიკანტთა პროგრამებზე ჩარიცხვით მიზნით, კოლეჯის დირექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, უზრუნველყოფს სსსმ აპლიკანტის ინფორმირებას, აპლიკანტთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან ხელშეკრულების გაფორმებას, კოლეჯში ჩარიცხვას და სტუდენტის სტატუსის მინიჭებას.

### **მუხლი 14. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა ჩარიცხვის დასრულების შემდეგ, დარჩენილი თავისუფალი ადგილების შევსება (არსებობის შემთხვევაში)**

სსსმ აპლიკანტთა ჩარიცხვის დასრულების შემდეგ, დარჩენილი თავისუფალი ადგილების შევსების მიზნით, მინისტრის მიერ დადგენილი ვადის ფარგლებში, კოლეჯის დირექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და ინფორმაციას ასახავს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.